ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2022 წლის 7 ივლისი

ხაშური

**სასტუმროების კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთი, საკადასტრო კოდი 69.04.56.308) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი"-ის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, ამავე დადგენილების №5 დანართის მე-9 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 19.04.22 წ-ის სხდომის ოქმი №1-19/22-ისა და „სასტუმროების კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთის (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთი, საკადასტრო კოდი 69.04.56.308) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21.04.2022 წ-ის №23 განკარგულების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს, სასტუმროების (მრავალფუნქციური დასასვენებელი) კომპლექსის მშენებლობისათვის შპს „პარკ ჰოტელი"-ს (ს/კ 405030327) კუთვნილი მიწის ნაკვეთის (მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტი, დაბა სურამი, ჩუმათელეთი, საკადასტრო კოდი 69.04.56.308, დაზუსტებული ფართობი 30511,00 მ$^2$) განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოდგენილი დანართის შესაბამისად

**მუხლი 2**

დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნინო ლიპარტელიანი